ანიან ყრუაშვილის შესახებ

როცა ვსაუბრობთ ყრუაშვილზე, მართებულია იქვე ქვებიც მოვიხსენიოთ. ალბათ კითხვა დაგებადებათ რატომ? იმიტომ, რომ როცა ქვები გპასუხობენ, მათი ხმა სიჩუმიდან მოდის. იმ კაცის მოდგმას, რომელიც ყრუ არის, შეუძლია ქვების ეს პასუხი მოისმინოს. ყრუა ნიშნავს სმენადახშობილს და ყრუაშვილი სმენაწართმეული კაცის შვილს… თქვენ შეგიძლიათ მის ქართველ მეგობრებს ჰკითხოთ, დასტურის ნიშნად იგივეს გიპასუხებენ...

და როცა ატარებ გვარად ყრუაშვილს, შინაგანი ხმა და ხედვა არის შენი ცხოვრების თანამგზავრი, და თანაც არა ჩვეულებრივი, რიგითი ცხოვრების, არამედ წარსული ცხოვრების, ისტორიის წიაღიდან წამოსული ხმა და ხედვა, დროის უკუნეთიდან რომ იჭედებოდა, სახეს იღებდა, უხსოვარი ეპოქიდან, წინაისტორიული სამყაროდან რომ გადმოგვყვა და თუ არ ვცდებით, ეს ხმა და ხედვა უნდა იყოს გიდი ჩვენი აწმყოსი და მომავლის…

როცა სულით მაძიებელი ამავე დროს ხელოვანიც არის, ამ სიტყვის აბსოლუტური მნიშვნელობით, თანაც ჰუმანისტი თავისი უკიდეგანო მგრძნობიარობით, ის ქვებს შენობით ელაპარაკება, სახელებს არქმევს და მათ შინაგან საიდუმლოს იზირებს. საფლავის ქვების ანაბეჭდები ახლიდან შობენ ისტორიის მოქმედ პირებს. ისინი, ვინც ჩვენ გვიძღოდნენ, ისინი, ვინც ჩვენი წინაპრები იყვნენ, ისინი, ვისგანაც ჩვენ მოვდივართ, ის იღწვის მათ უკვდავსაყოფად და განაგრძობს ჩვენი მკვდრების სამარადისო სამყოფელის საკრალურ კულტურას…

ის უვლის და უძღვება მათ ხსოვნას, რაზეც ჩვენი გადარჩენაც არის დამოკიდებული და იგი ამ ყველაფერს თავისი ცხოვრებისეული ფილოსიფიითა და შრომით ადასტურებს. მადლობა მას…

ავტორი: Luis Marcel, Musée de l'Art en Marche-ის დამფუძნებელი Hauterives et Lapalise